უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№4 (95) 2019

სტუდენტები ევროპიდან – თსუ-ში

25 უცხოელი სტუდენტი მიიღო გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2018-2019 სასწავლო წლის გაგაფხულის სემესტრში. სტუდენტების უმრავლესობა ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან არის. მათ ერასმუს+ გრანტი მოიპოვეს და ერთ სემესტრს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაატარებენ.

მიშელინ ლეუნი საფრანგეთიდანაა. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამით შეისწავლის პოლიტიკურ მეცნიერებებს.

„თსუ ავირჩიე, რადგან ეს უნივერსიტეტი შემხვდა სიაში. ხშირი შეხება მაქვს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან და დიდი ხანია მინდოდა აღმოსავლეთ ევროპაში აღმომეჩინა ახალი ქვეყანა და ახალი შესაძლებლობები. ჩემი მეგობრები სტუმრობდნენ საქართველოს და მათ მირჩიეს აქ ჩამოსვლა, მითხრეს რომ აქაურობა ძალიან ჰგავს შვეიცარიას“, – ამბობს მიშელინი.

ფელიქს ფალკენბერგი ავსტრიიდანაა, სწავლობს ზალცბურგის უნივერსიტეტში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ასევე პოლიტიკური მეცნიერებების შესასწავლად ჩამოვიდა. საქართველოზე და თსუ-ზე არჩევანის შეჩერებას ასე ხსნის:

„ავსტრიაში ბევრი ქართველი სტუდენტი გავიცანი, რომლებიც ერასმუსის პროგრამაში იყვნენ ჩართული და დიდ დროს ვაგარებდი მათთან. ამიტომ ძალიან დავინტერესდი ამ ქვეყნით. წინა ზაფხულს ვიყავი თბილისში, ძალიან მომეწონა ეს ქალაქი და მისი კულტურა“.

სარა ნუნეც ტორადო ესპანეთიდან, სწავლობს ესპანეთში კორუნას უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამაზე.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტით, პირველ რიგში, იმიტომ დავინტერესდი, რომ მოვიძიე ინფორმაცია პროფესორების შესახებ და ჩემს სპეციალობასთან ყველაზე ახლოს რომლებიც მივიჩნიე, მათთან გაღავწყვიტე სწავლა. ჩემი თანახელმძღვანელი არის ქეთი წერეთელი, რომელიც თავი საქმის პროფესიონალია, ვუზიარებთ ცოდნას ერთმანეთს. მეორე მიზეზი კი ის არის, რომ დაინტერესებული ვიყავი თვითონ ქვეყნით“, – ამბობს სარა.

სტუდენტები ახლა მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და პირველ შთაბეჭდილებებსაც ახლა აგროვებენ. მათი გამოცდილების შესახებ მომავალში უფრო დეტალურად და, აუცილებლად გულწრფელად, კიდევ მოგითხრობთ.

პროფესორ ჯეფრი დევიდ საქსს თსუ საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა

„ყველაზე გავლენიანი ეკონომისტი“, „მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ეკონომისტი“, "მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომისტი“ ასე მოიხსენიებენ მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი მედიასაშუალებები ჯეფრი საქსს, რომელსაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა მრჩეველმა, პროფესორმა ჯეფრი საქსმა თსუ სტუდენტებისა და პროფესორებისთვის საჯარო ლექცია წაიკითხა. ღონისძიებას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი, პარლამენტის წევრები, პროფესორები, სტუდენტები ესწრებოდნენ.

გვ. 2

საქართველოს ჯესაპის საერთაშორისო სამართლის იმიტირებულ პროცესებზე კვლავ თსუ-ს გუნდი წარმოადგენს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი ფილიპ ს. ჯესაპის სახელობის საერთაშორისო სამართლის იმიტირებულ სასამართლო პროცესებში ვაშინგტონში მონაწილეობის მისაღებად ემზადება.

თსუ-ს გუნდმა საერთაშორისო რაუნდებზე ასპარეზობის უფლება ეროვნულ შესარჩევ რაუნდებში გამარჯვების შემდეგ თავისუფალი უნივერსიტეტის გუნდთან წარმატებით ასპარეზობის შედეგად მოიპოვა. თსუ-ს საერთაშორისო სამართლის სტუდენტების გუნდმა ასევე მოიპოვა საუკეთესო წერითი მემორიალის მქონე გუნდის ტიტული; გუნდის წევრი თამარ რუსეიშვილი კი შეჯიბრის საუკეთესო სპიკერად აღიარეს.

საერთაშორისო სამართლის ცნობილი მეცნიერის ფილიპ ს. ჯესაპის სახელობის საერთაშორისო იმიტირებული პროცესების კონკურსში მონაწილე გუნდი შეირჩა და მომზადდა თსუ საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მიერ. საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების თამარ რუსეიშვილის, კონსტანტინე კოპალიანისა და ანა მღებრიშვილის გუნდის მწვრთნელი თსუ დოქტორანტურის სტუდენტი თამთა ზაალიშვილია.

ფილიპ ს.ჯესაპის სახელობის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესები მსოფლიოში საერთაშორისო სამართლის ყველაზე პრესტიჟულ კონკურსად მიიჩნევა, რომელშიც 100-ზე მეტი ქვეყნის სამართლის სკოლის სტუდენტები მონაწილეობენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი საერთაშორისო რაუნდებში 2019 წლის 1-6 აპრილს ვაშინგტონში, აშშ, იასპარეზებს.

„დამფუძნებელი კრება – 100“ – ესეების კონკურსის გამარჯვებულები საკუთარ აღმოჩენებსა და გამოცდილებაზე

ესეების კონკურსის „დამფუძნებელი კრება – 100“ გამარჯვებულები თსუ სტუდენტები ირმა ჭანგურია და გიორგი ჯავახიშვილი არიან.

ირმა ჭანგურიას ნაშრომი დამფუძნებელი კრების საქმიანობაში ქალთა ჩართულობას ეხებოდა, გიორგი ჯავახიშვილის ნამუშევარი კი სოციალისტ-ფედერალისტების პარტიას და მათ საარჩევნო პროგრამას. გამარჯვებულები თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ დაჯილდოვა.

სტუდენტთა ესეების კონკურსი „დამფუძნებელი კრება – 100“ 1919 წლის 12 მარტს პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების შედეგად არჩეული დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის 100 წლის იუბილეს ეძღვნება.

დღეს მითხველს გამარჯვებული სტუდენტები საკუთარ თავსაც გააცნობენ და ნაშრომებზეც ესაუბრებიან.

ირმა ჭანგურია, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერთა ფაკულტეტის სტუდენტია. პატარა, თურმე, ხშირად ოცნებობდა რესპონდენტი გამხდარიყო და ჟურნალისტებისთვის საინტერესო საქმე გაეკეთებინა. სტუდენტური გამოცდილების პირველივე დღეებში მას ამის შანსი მიეცა:

– მე ვარ ირმა ჭანგურია, 19 წლის, ქალაქ აბაშიდან. ორი წლის წინ ჩავაბარე ისტორიის მიმართულებით და როგორც ყველა სკოლის მოსწავლე, მაშინ მეც ვფიქრობდი, რომ სტუდენტური ცხოვრება ბევრად უფრო მარტივი იქნებოდა, ვიდრე რეალობაშია. პირველივე სემესტრში გავაცნობიერე, რომ ყველაფერთან ერთად, დამოუკიდებლობის სწავლის დროც დამიდგა. გასული წლის ოქტომბერში სტაჟირება დავიწყე არაჩვეულებრივ ხალხთან, ასეთივე ორგანიზაციაში. „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიამ“ მომცა ყველაზე მთავარი – პრაქტიკა. რაც ვფიქრობ, ნებისმიერი პროფესიისთვის აუცილებელია. ვმუშაობთ ძალიან საინტერესო მოგონებების გამოცემაზე და ამ ასაკში, ამ ცოდნითა და პროფესიის გარეშე, ამაზე უკეთესი საქმის კეთება, მგონი, წარმოუდგენელია.

გაგრძელება მე-3 გვ.

თსუ სტუდენტი ვახტანგ ნოღაიდელი – იუსტიციის სასწავლო ცენტრის ესეების კონკურსის გამარჯვებული

გვ. 2

სტატია მაგნიტური ნახევარგამტარების შესახებ უნიკალურ აღმოჩენაზე თსუ მეცნიერების თანაავტორობით

გვ. 2

„შემოქმედებით ნაპერწკალი“ – თსუ-ში

თსუ-ცოდნის გაღაცემისა და ინოვაციების ცენტრის პროექტები და მიზნები განვითარებისთვის

გვ. 3

სწავლა ჩინეთში – საინტერესო თავგადასავალი და გამოწვევა

გვ. 4

პროფესორ ჯეფრი დევიდ საქსს თსუ საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა

1-ლი გვერდიდან

„ჩემთვის დიდი პატივია, რომ გავხდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. ეს არის უნივერსიტეტი, რომელმაც ერთი წლის წინ იზეიმა დაარსებიდან 100 წლის იუბილე. მომეცა საშუალება, რომ უნივერსიტეტისათვის გამეზიარებინა მნიშვნელოვანი მესიჯები მდგრადი განვითარების მნიშვნელობაზე და ამაში უნივერსიტეტის მონაწილეობაზე. ჯანდაცვა, განათლება, ფინანსები და მთავრობის ახალი მიდგომა, რომ ქვეყნის შემოსავლების დიდი ნაწილი მოხმარდეს განათლებას - არის სწორი გზა. მიხარია, რომ საქართველომ აირჩია ეს გზა და ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი ამ წამოწყების მიმართ,“- აღნიშნა ჯეფრი საქსმა.

„ასეთი რანგის ადამიანების სტუმრობა საქართველოში ძალიან საინტერესო და მისასალმებელია,“ -განაცხადა თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ. მისი თქმით, „ის, რომ ჯეფრი საქსი გახდა ჩვენი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, მართლა საპატიოა არა მხოლოდ მისთვის, არამედ ჩვენთვისაც. ჯეფრი საქსი კვლავ დაბრუნდება საქართველოში, კვლავ გვექნება საშუალება, რომ სტუდენტებმა მოუსმინონ მის ლექციებს, ჩვენმა პროფესორებმაც იქონიონ მასთან კონკრეტული კავშირი გამომდინარე მათი საგნიდან. იმედია, რომ ჩვენი მთავრობაც ჩაერთვება ამ საქმიანობაში, რადგან ჯეფრი საქსი ძალიან ბევრ წარჩინებულ პროექტს ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ბევრ ქვეყანაში“.

თსუ სტუდენტებსა და პროფესორებს ჯეფრი საქსი საქართველოს ეკონომიკის განვითარების გზებსა და შესაძლებლობებზე ესაუბრა. „საკმაოდ საინტერესო ლექცია ჩაატარა ჯეფრი საქსმა, რომელმაც ილაპარაკა როგორც ქვეყნის ეკონომიკურ გამოწვევებზე, ისე გლობალურ გამოწვევებზე - გარემოს დაცვაზე. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო მისი მოსმენა, ვინაიდან ბევრი საინტერესო ინფორმაცია გავიგე. ბოგადად, ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია ასეთი ადამიანების მოწვევა ჩვენს უნივერსიტეტში,“- აღნიშნა თსუ სტუდენტმა საბა სახვაძემ. ჯეფრი დევიდ საქსი არის მსოფლიოში ცნობილი პროფესორი ეკონომიკის დარგში, ყველაზე გაყიდვადი წიგნების ავტორი, ინოვაციური მასწავლებელი და მსოფლიო ლიდერი მდგრადი განვითარების სფეროში. კოლუმბიის უნივერსიტეტში მუშაობის დაწყებამდე იგი ოც წელზე მეტი ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი იყო. ის გაეროს მდგრადი განვითარების ქსელის დირექტორი, ასევე განვითარების საკითხებში გაეროს ფართო დიაპაზონის კომისიის კომისარი და გაეროს გენერალური მდივნის ანტონიო გუტერეშის სპეციალური მრჩეველია. პროფესორი საქსი „ცისფერი პლანეტის“ 2015 წლის ჯილდოს ერთ-ერთი მფლობელია.

საერთაშორისო კონფერენცია ნეიტრინოების ფიზიკასა და ასტროფიზიკაში

26 თებერვალს თსუ-ში 10-ზე მეტი ქვეყნის 100-მდე მეცნიერი შეიკრიბა, რომლებიც ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე უნიკალური ნეიტრინული დეტექტორის შექმნაზე მუშაობენ.

თსუ არის იმ 15 ქვეყნის სამეცნიერო კვლევით ცენტრებსა და უნივერსიტეტებს შორის, რომლებიც KM3NeT ექსპერიმენტში არიან ჩართული. ექსპერიმენტი ზღვის და დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში კვლევების ჩატარებას გულისხმობს.

ამასთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დღეს საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა. კონფერენცია 1 მარტამდე გაგრძელდება.

კონფერენციის გახსნას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, ქართველი და უცხოელი პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

თსუ რექტორის გიორგი შარვაშიძის ინფორმაციით, მნიშვნელოვანია, რომ ასეთი რანგის კოლაბორაციაში ქართველი მეცნიერებიც არიან ჩართული. „ჩვენი ჯგუფის წევრები მუშაობენ პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებაზე; მუშაობენ იმ მონაცემებზე, რომელსაც აზიარებენ უცხოელი პარტნიორები და ამუშავებენ მას. ამ პროექტის სამეცნიერო წარმატებაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ამაში დიდი წვლილი შეაქვთ ჩვენს მეცნიერებს, რომლებიც პროექტის ყოველდღიურ ცხოვრებაში არიან ჩართულნი. დარწმუნებული ვარ, ეს პროექტი წარმატებული იქნება“, – აღნიშნა თსუ რექტორმა.

„საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა“

საქართველოში სამეცნიერო კვლევის მენეჯმენტის ერთიანი სისტემა იქმნება, რომელშიც თსუ-სთან ერთად 12 ქართული და 3 ევროპული (გერმანია, საფრანგეთი) უნივერსიტეტი ჩაერთვება.

ქართველი მეცნიერ-მკვლევრების მიერ შესრულებული კვლევები ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის უმსხვილესი პროგრამის ჰორიზონტი 2020-ისა და სხვა საერთაშორისო ფონდებისთვის გახდება ხელმისაწვდომი.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ KA2 პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტ HEDR-ის „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა“ პირველი სამუშაო შეხვედრა 27 თებერვალს თსუ-ში გაიმართა.

პროექტი „რე-კონცეფცია“

პროექტის „რე-კონცეფცია“ პრეზენტაცია გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც შემოქმედებითი საქართველოსა და ისთ ანგლიის უნივერსიტეტის (UEA) საერთო პროექტია.

პროექტის მიზანია სტუდენტების ბიზნეს უნარების გაუმჯობესება და ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლება.

სტუდენტების ჩართულობით შემუშავდება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმების რეკონცეფციები, რაც ორგანიზაციების მენეჯმენტის ახლებურ გააზრებას და ბიზნეს მიდგომების დანერგვას გულისხმობს.

გაგრძ. მე-4 გვ.

სტატია მაგნიტური ნახევარგამტარების შესახებ უნიკალურ აღმოჩენაზე თსუ მეცნიერების თანაავტორობით

1-ლი გვერდიდან

თსუ პროფესორის ალექსანდრე შენგელაიასა და თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ორი კურსდამთავრებულის ზურაბ გუგუჩიას და ზურაბ შერმადინის სტატია „მეცნიერების განვითარების ამერიკული ასოციაციის“ მიერ გამოცემულ იმპაქტ-ფაქტორიან (11.5) ჟურნალში Science Advances-ში დაიბეჭდა. სტატია მაგნიტური ნახევარგამტარების შესახებ უნიკალურ აღმოჩენას ეხება.

მაგნიტური ნახევარგამტარები მეცნიერებისთვის ერთ-ერთ საინტერესო საკვლევ ნივთიერებებს წარმოადგენენ. ისინი სწრაფი და ახალი თვისებების მქონე ელექტრონული მოწყობილობების მისაღებად გამოიყენება. თსუ პროფესორმა ალექსანდრე შენგელაიამ და მისი კოლეგები აქამდე სრულიად უცნობი, ახალი ტიპის მაგნიტური ნახევარგამტარი აღმოაჩინეს.

„ჩვენი კვლევების შედეგად ვაჩვენეთ, რომ ორი ქიმიური ელემენტის, მოლიბდენის და სელენის შენაერთი ქიმიური ფორმულით MoSe2 წარმოადგენს ახალი ტიპის მაგნიტურ ნახევარგამტარს, რომელიც აქამდე არ იყო ცნობილი. ამ ნივთიერების დიდი უპირატესობაა ის, რომ მისი მიღება შედარებით ადვილია როგორც თხელი ფირების ასევე კრისტალების სახით. რაც მთავარია, თვითონ მაგნეტიზმის ბუნება სრულიად განსხვავდება აქამდე ცნობილი მაგნიტური ნახევარგამტარებისაგან. შესაბამისად ამ ნივთიერების კვლევა ძალიან საინტერესოა როგორც ფუნდამენტური, ასევე გამოყენებითი თვალსაზრისით. როგორც ცნობილია თანამედროვე ელექტრონიკის საფუძველს წარმოადგენენ ნივთიერებები რომელთაც ნახევარგამტარები ეწოდებათ. ამ ნივთიერებებში ხდება ელექტრონების მუხტის მოძრაობის მართვა. ახალი ტიპის ელექტრონიკას, რომლის შექმნაზეც ამჟამად მუშაობენ მეცნიერები, სპინტრონიკა ეწოდება. ჩვეულებრივი ელექტრონიკისგან განსხვავებით სპინტრონიკის მიზანია მართოს არა ელექტრონის მუხტი, არამედ ელექტრონის კვანტური თვისება რომელსაც სპინი ეწოდება. სპინის მართვა მოგვცემს შესაძლებლობას მივიღოთ უფრო ენერგოეფექტური, სწრაფი და პრინციპულად ახალი თვისებების მქონე ელექტრონული მოწყობილობები. ამისთვის აუცილებელია ახალი ტიპის მასალები, მაგნიტური ნახევარგამტარები, რადგან ამჟამად გამოყენებულ ნახევარგამტარებს მაგნიტური თვისებები არ გააჩნიათ. აღმოჩნდა, რომ მაგნიტური ნახევარგამტარების შექმნა ძალიან რთული ამოცანაა და მთელ მსოფლიოში აქტიურად მიმდინარეობს ასეთი მასალების ძიება“, – ამბობს თსუ პროფესორი ალექსანდრე შენგელაია.

მიღებული შედეგები ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის ნაყოფია, რომელშიც თსუ პროფესორთან, კურსდამთავრებულებთან და ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ მეცნიერები მსოფლიოში ცნობილი ცენტრებიდან: კოლუმბიის უნივერსიტეტი (აშშ), ბრუკჰეივენის ნაციონალური ლაბორატორია (აშშ), პაულ შერერის ინსტიტუტი (შვეიცარია), ციურიხის უნივერსიტეტი (შვეიცარია), დედოფლის უნივერსიტეტი ბელფასტში (გაერთიანებული სამეფო).

როგორც თსუ პროფესორი ალექსანდრე შენგელაია ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, ყველაზე დიდი წვლილი განხორციელებულ კვლევებში სწორედ ზურაბ გუგუჩიას მიუძღვის და ამიგომ ის გამოქვეყნებული სტატიის პირველი ავტორია. ამჟამად ზურაბ გუგუჩია შვეიცარიაში, პაულ შერერის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია, ხოლო ზურაბ შერმადინი შვეიცარიიდან საქართველოში დაბრუნდა და ამჟამად ის თსუ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია.

ჟურნალში Science Advances სტატიის გამოქვეყნებისათვის აუცილებელია მიღებული შედეგები ასახავდნენ მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს მეცნიერებისა და ინჟინერიის დარგებში. შესაბამისად, Science Advances-ში გამოქვეყნებული ყველა სტატია მსოფლიოს მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევს.

„სტატიის გამოქვეყნება ამ ჟურნალში ძალიან რთულია რადგან გადის ძალიან მკაცრ და ხანგრძლივ რეცენზირების პროცესს. ჩვენს შემთხვევაში სტატიის გაგზავნიდან მის დასაბეჭდად მიღებას 9 თვე დასჭირდა. გამოქვეყნებული შედეგები მხოლოდ პირველი ნაბიჯია ახალი მაგნიტური ნახევარგამტარების შესწავლის პროცესში. უკვე დაგეგმილია ახალი ექსპერიმენტები მათი თვისებების უფრო ღრმა შესწავლისათვის. ასე რომ წინ საინტერესო კვლევის პროცესი გველის“, – ამბობს თსუ პროფესორი ალექსანდრე შენგელაია.

თსუ სტუდენტი ვახტანგ ნოღაიდელი – იუსტიციის სასწავლო ცენტრის ესეების კონკურსის გამარჯვებული

თსუ სტუდენტი ვახტანგ ნოღაიდელი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე იუსტიციის სასწავლო ცენტრის ესეების კონკურსის გამარჯვებული გახდა.

ვახტანგ ნოღაიდელის ნაშრომი „ბავშვთა მიმართ ძალადობის სოციალურ ასპექტებს“ შეეხებოდა. იუსტიციის სასწავლო ცენტრის პროექტში სხვადასხვა უნივერსიტეტის 20 სტუდენტი მონაწილეობდა. მათგან სამი ფინალისტი გამოვლინდა, სამივე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ.

კონკურსის გამარჯვებული ვახტანგ ნოღაიდელი, თსუ იურიდიული ფაკულტეტის მე-8 სემესტრის სტუდენტია. სწავლის პარალელურად, არის იურიდიული კომპანია J&T Consulting-ის სასწავლო ცენტრის მმართველი გუნდის წევრი და ამავე ცენტრის ერთ-ერთი მიმართულების ხელმძღვანელი. ვახტანგი ასე გვიხსნის კონკურსის თემით დაინტერესებას:

„პროექტი ეხებოდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებს. კონკურსს ორგანიზებას უწევდა საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტთან თანამშრომლობით. აღნიშნული კონკურსი გასული წლის ბოლოს, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ გამართული 16-დღიანი სამთავრობო კამპანიის ფარგლებში გამოცხადდა. ბუნებრივია, პროექტის მიზანი იყო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სამართლის ფაკულტეტის სტუდენტების ცნობიერების ამაღლება.

პროექტი რამდენიმე ეტაპისაგან შედგებოდა. პირველ ეტაპზე სააპლიკაციო ფორმისა და სამოტივაციო წერილის საფუძველზე შეირჩა 20 საუკეთესო სტუდენტი, რომელთაც კვალიფიციური სპეციალისტების მეშვეობით ჩაგვიტარდა ტრენინგები ზემოაღნიშნულ საკითხებზე. შემდეგ ეტაპზე სტუდენტებს გვქონდა განსაზღვრული გარკვეული დრო, რომლის ფარგლებშიც ჩვენ დავწერეთ ნაშრომები. კომისიამ ნაშრომები შეაფასა და გამოავლინა 3 საუკეთესო ნაშრომის ავტორი, რომლებიც ვმონაწილეობდით პროექტის დასკვნით, ფინალურ ეტაპზე, სადაც უკვე მოხსენებების გაკეთების შესაძლებლობა გვქონდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროექტის დასკვნით ეტაპზე გასული სამივე კონკურსანტი ვიყავით თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, რაც , მართლაც, სასიხარულო იყო ჩემთვის.

პროექტში მონაწილეობა გადავწყვიტე სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, კერძოდ, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებით ყოველთვის ვიყავი დაინტერესებული, აღრეც მიმიღია მონაწილეობა მსგავსი თემატიკის პროექტებში - იმიტირებულ სასამართლო პროცესებში თუ საბაფხულო სკოლებში. ამდენად, მოცემულ პროექტში მონაწილეობით მინდოდა, ჯერ ერთი, მიმეღო მეტი ინფორმაცია და გამოცდილება, რომელიც გაგვიზიარეს სპეციალისტებმა. მეორე მხრივ, ჩემი მოტივაცია იყო გამომეცადა საკუთარი თავი და შესაძლებლობები, ერთგვარად აკუმულირება მომეხდინა იმ თეორიული ცოდნისა თუ პრაქტიკული გამოცდილებისა, რომელიც მქონდა პროექტის განხორციელებამდე და პროექტის მეორე ეტაპის შემდეგ.

ჩემი ნამუშევარი შეეხებოდა ოჯახში „ბავშვთა მიმართ ძალადობის სოციალურ ასპექტებს''. ვფიქრობ, საკითხი მეტად მნიშვნელოვანი და სენსიტიურია, მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით.

ჩვენს ქვეყანაში დღეს არსებული ვითარება ოჯახში ბავშვთა აღზრდისას გამოყენებული მეთოდებისა და ამის შედეგად გამოწვეული მძიმე ემოციური შოკისა თუ ფიზიკური ტკივილების ერთობლიობა, აგრეთვე ქართული საზოგადოების ცნობიერების დონე, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშების გათვალისწინებით, საგანგაშო სურათს იძლევა.

პროექტში მონაწილეობამ შემიძლია გარკვეული ინფორმაციული ვაკუუმი, რომელიც პროექტში მოანწილეობამდე მქონდა გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. სპეციალისტებმა გაგვიზიარეს მათი პრაქტიკული გამოცდილება, რაც ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო და, მიმაჩნია, რომ სამომავლოდ მას რელევანტურად გამოვიყენებ. სიღრმისეულად შევისწავლე ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის სოციალური მხარე, რაც სასიკეთოდ გამომადგება მომავალში როგორც პროფესიული, ისე ცხოვრებისეული კუთხით. აგრეთვე, უკეთ განმივითარდა ანალიტიკური და კვლევითი უნარები, რაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი „ბენეფიტია“ ნებისმიერი ადამიანისათვის.

მსგავსი ტიპის პროექტებში არაერთხელ მიმიღია მონაწილეობა და თსუ-ის სახელით მომიპოვებია არაერთი გამარჯვებაც, რაც ჩემთვის, როგორც უნივერსიტეტელისთვის, დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა. ჩემს მეგობრებს, სტუდენტებს ვურჩევდი, რომ აქტიურად ჩაერთონ მსგავსი ტიპის პროექტებში, რადგან იგი ხელს უწყობს სტუდენტში სხვადასხვა უნარის განვითრებას, ცოდნისა და გამოცდილების გაზრდას, რაც, საბოლოო ჯამში, პროფესიული თუ პიროვნული ბრდის საფუძველია.

„დამფუძნებელი კრება – 100“ – ესეების კონკურსის გამარჯვებულები საკუთარ აღმოჩენებსა და გამოცდილებაზე

1-ლი გვერდიდან

რაგომ დაინტერესდა პროექტით?

100 წლის წინ ჩვენს ქვეყანაში ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენები ვითარდებოდა. 1919 წლის 12 მარტს ქვეყნის დემოკრატიულად არჩეულმა საკანონმდებლო ორგანომ პირველი სხდომა გამართა და კონკურსი სწორედ ამ თარიღის აღნიშნვნას ეხებოდა.

უნივერსიტეტში გვაქვს პირველი რესპუბლიკის კვლევის ცენტრი. ამ ცენტრის ორგანიზებით დამფუძნებელი კრების ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით კონფერენცია იმართებოდა და იდეაში მოხსენებასაც ამ ღონისძიებისთვის ვამზადებდი. მოგვიანებით ორგანიზაგორებმა შეგვატყობინეს კონკურსის შესახებ და ყველანაირი მოლოდინის გარეშე, მეც გავგზავნე ჩემი ნაშრომი. რამდენიმე დღეში დამირეკეს უნივერსიტეტიდან, მითხრეს, რომ ჩემმა მოხსენებამ გაიმარჯვა და ფინალში თსუ-ის სახელით მივიღებდი მონაწილეობას. 7 მარტს კი ფინალში გამარჯვების შესახებაც შემატყობინეს.

რაგომ უნდა ვიცოდეთ ისტორიაში ქალთა წვლილის შესახებ?

ჩემი ნაშრომი შეეხებოდა ქალთა ჩართულობას დამფუძნებელი კრების საქმიანობაში. კრების 130 კანონმდებლიდან 5 იყო ქალი. ის პერიოდი, რომელშიც ეს ქალები მოღვაწეობდნენ, იყო პერიოდი, როცა საზოგადოება ქალებს მხოლოდ საოჯახო სივრცის წევრებად აღიქვამდა. ეს ფაქტორი კი მათ მოღვაწეობას უფრო მნიშვნელოვანს ხდის. ის, რომ ახლა ქალებს გვაქვს უფლება მივიღოთ განათლება, ვიმუშაოთ და არ ვიყოთ დამოკიდებული მეუღლეებზე, მამებზე, ძმებზე ან უბრალოდ სხვა მამაკაცებზე, სწორედ ამ ქალების დამსახურებაა. მათ შეძლეს ასი წლის წინ ებრძოლათ ჯერ კიდევ მიუღწეველი გენდერული თანასწორობისათვის და ქალების სახელით დაეტოვებინათ კვალი ისტორიის ფურცლებზე. ჩემთვის, როგორც ფემინისტისთვის, რომელიც ისტორიკოსის პროფესიას ეუფლება, მნიშვნელოვანია სწორად გვქონდეს გააზრებული ჩვენი წარსული და ამ წარსულის შექმნაში ქალთა წვლილის შესახებაც ვიცოდეთ. მით უმეტეს, რომ ეს ჩვენი წარსულის ის ნაწილია, რომლითაც თავისუფლად შეგვიძლია ვიამაყოთ. ამ დროს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა ქმნიდა სტანდარტებს ევროპისთვის, მათ შორის გენდერული თანასწორობის კუთხითაც.



სიახლეს რაც შეეხება, პირველად მომიწია არქივში მუშაობა. როგორც ზევით აღვნიშნე, ნებისმიერი პროფესიისთვის აუცილებელია პრაქტიკა. არქივში მუშაობა კი შესანიშნავი შანსია შენი პროფესიის სიღრმეებს ჩაწვდე. რაც არ უნდა ბევრი იკითხო სხვისი დაწერილი წიგნები, თუნდაც ამ თემაზე, როცა თავად გაქვს შეხება დოკუმენტებთან, რომელთაც იმ ადამიანების ხელში გამოუვლია, მაინც სხვანაირი გრძნობაა. შენი კვლევის საფუძველზე დაწერილ ერთ წინადადებასაც კი იმაზე მეგი ფასი აქვს შენთვის, ვიდრე სხვის დაწერილ მთელ წიგნს.

რჩევა სტუდენტებს

მგონია, რომ ყველა სტუდენტისთვის ინდივიდუალური რჩევის მიცემა შეიძლება, მაგრამ ერთი მაინც უნივერსალურია – საკუთარ თავზე მუშაობა. ზუსტად ვიცი, რომ ბევრ ჩემს თანატოლს სიზარმაცე არ აძლევს საშუალებას საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთონ. თუმცა, თუ ერთხელ დაძლევ და მასზე მაღლა დადგები, იმდენად საინტერესო გარემოს დაინახავ, რომ უკან გახედვა აღარ მოგინდება. ჩემი რჩევა იქნება პატივი სცეთ, პირველ რიგში, საკუთარ თავებს და მაქსიმუმი გააკეთონ ისეთი ცხოვრების შექმნისთვის, რომელზეც ბავშვობაში ოცნებობდით.

მაგალითისთვის შემიძლია გითხრათ, რომ პატარა ირმას ბევრჯერ აქვს რეპეტიცია გავლილი იმ გაზეთისთვის ინტერვიუს მისაცემად, რომელსაც ბებო დიდი ინტერესით კითხულობდა. ჰოდა, აგერ, მივიწყებული ოცნება ამიხდა.

* * *

გიორგი ჯავახიშვილი, სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულებაზე, მე-3 კურსზე. ამბობს, რომ 2 წელზე მეტია დავინტერესდა მე-19-მე-20 საუკუნის საქართველოსა და კავკასიის ისტორიით და პირველი მიგნებებიც ამ დაინტერესების შედეგად მოვიდა.

ინტერესი კვლევის თემისადმი

ამ კვლევის ფარგლებში, შეიძლება ითქვას, მივაგენი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და დავიწყე მისი კვლვა, ამან დამაკავშირა თსუ-ის ბიობლიოთეკასთან, სადაც აქვთ პირველი რესპუბლიკის კვლევითი ცენტრი. აქ არის დაცული უამრავი ძველი დოკუმენტი და გაზეთი, რამაც გამიადვილა თსუ ფარგლებშივე მარტივად მეწარმოებინა ჩემი კვლევები და აღარ გახდა საჭირო საჯარო ბიბლიოთეკის ფონდებისა და არქივის გამოყენება.

რაც შეეხება თავად პროექტს, სიმბოლური იყო რომ კონკურსი პირველი პარლამენტის არჩევიდან 100 წლის თავზე ჩატარდა. პირველი განცდა იყო – რატომაც არა, პირველ რიგში გამოუკვლეველი თემა არის თავიდან ბოლომდე და, მეორეს მხრივ, ახალი გამოცდილებაც იქნებოდა წერის კუთხით. დავწერდი ნაშრომს, რაც იქნებოდა მეტ-ნაკლებად სამეცნიერო ფორმატის და მომცემდა იმის საშუალებას. რომ საფუძველი მქონოდა მომავალში აკადემიური მოღვაწეობისთვის.

როგორ აღმოაჩინა „ახალი“ ძველი იდეები

ჩემი ნაშრომი შეეხებოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოპოზიციურ, საქართველოს სოციალისტ-ფედერაციულ პარტიას, რომელიც საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი პირველი პარტია იყო – დაარდა ჟენევაში და არ ჰქონდა ქართული ფესვები. იგი 1917 წლისთვის უკვე იცვლის თავის პოლიტიკურ პლატფორმას და 1919 წლის არჩევნებში იღებს მონაწილეობას. არის უკიდურესად მემარცხენე პარტია, განსხვავებით სოციალ-დემოკრატებისგან. მე დავწერე ამ პარტიის საარჩევნო პროგრამაზე, მის ხედვებზე სხვადასხვა მიმართულებით – ესაა განათლების პოლიტიკა, საგარეო პოლიტიკა, არმიისა და უსაფრთხოების მიმართულება თუ შრომითი უფლებები. ამან მომცა იმის გამოცდილება და ცოდნა, რომ პოლიტიკურ პლურალიზმის იდეა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება იმ დროის საქართველოში იყო არა რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის ნება, არამედ მთლიანი პოლიტიკური ელიტის სურვილი. დემოკრატიზაცია, ეკონომიკური თავისუფლება, მცირე რეგულაციები ბიზნესისთვის აერთიანებდა ყველა პარტიას, მათ შორის ცირკულარიზმის იდეაც, რაც გულისხმობს დასავლური პოლიტიკური იდეების და პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებას საქართველოში. ეს ახალი ხილი იყო აღმოსავლეთ ევროპისა და საქართველოსთვის იმ დროისათვის და ყველა პარტიას, გარდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა, ჰქონდა საარჩევნო პროგრამაში. ამან კიდევ უფრო გამიმყარა საფუძველი, ცოდნა და რწმენა იმისა, რომ ზოგიერთი იდეას, რომელიც გვგონია ახალი და ჩვენი კულტურისათვის მიუღებელი, სინამდვილეში აქვს ხანგრძლივი ისტორია და განხორციელების პრაქტიკაც ჰქონია.

პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება

თითქმის ყველა პროექტში მაქვს მიღებული მონაწილეობა, რაც გამოცხადდა საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაზე. ვფიქრობ ასეთი პროექტები, მით უმეტეს ისეთ დარგში, როგორიცაა ჰუმანიტარული მეცნიერებები, ხშირად უნდა ჩატარდეს, რადგან ხშირი არ არის ამ მიმართულების სტუდენტებში სურვილი, რომ რაღაც ახალი გამოიკვლიონ და დაწერონ, გარდა ამისა, რაც შეეხება თვითონ გამოცდილებას, ამ ასაკიდან მუშაობის დაწყება არქივთან და ხელნაწერებთან ბევრად წინ წევს და საბოლოოდ ისახება სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომზეც.

რჩევა თანატოლებს

სტუდენტებს ვურჩევდი, რომ ჩამოყალიბდნენ თავიანთ ინტერესებში და საკვლევი თემა აირჩიონ, მეტი იმუშაონ იმ თემაზე რომელიც აინტერესებთ. ამ ასაკში გვაქვს იმის ფუფუნება, რომ გვქონდეს სწავლისთვის დიდი დრო და მარტივად გამოვკვეთოთ ის კონტურები, თუ შემდგომში რა მიმაართულებით ვიმუშავებთ, რაც საგრძნობლად გაგვიმარტივებს მომავალში აკადემიურ მოღვაწეობას. ვურჩევდი რომ არ გამოტოვონ ასეთი ღონისძიებები და მაქსიმალურად მიიღონ ყველაფრიდან მეტი გამოცდილება.

„შემოქმედებით ნაპერწკალი“ – თსუ-ში

თსუ-ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის პროექტები და მიგნები განვითარებისთვის

„შემოქმედებითი ნაპერწკალი: სამეწარმეო განათლება უმაღლესებისათვის“ ფარგლებში - ამ სახელწოდების პორექტმა თსუ-ში 2019 წლის მარტში აიღო სტარტი. ინიციატივა ლექტორებისა და სტუდენტებისთვის სამეწარმეო განათლების მიცემას გულისხმობს.

ამ მიზნით, პროექტის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის, შემდგომში კი მათ მიერ სტუდენტებისთვის ტრენინგები ჩატარდება.

ტრენინგი, რომელიც თსუ-ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის მიერ მოპოვებული დაფინანსებით 5 დღის განმავლობაში უკვე გაიმართა, ესექსის უნივერსიტეტისა და „Change School“-ის წარმომადგენლები გაუძღვნენ.

სატრენინგო კურსის გავლის შემდეგ, ზემოთ ჩამოთვლილი უნივერსიტეტების თანამშრომლები თსუ-ში 3 თვის განმავლობაში „TECHART SESSIONS“ – ტრენინგების სერიას ჩაატარებენ, რომლის ფარგლებშიც 600-მდე სტუდენტი სტარტაპ ეკოსისტემასა და მის განვითარებას, ბიზნესის დაწყების წესებსა და მართვას შეისწავლის.

პროექტი დაფინანსებულია ბრიტანეთის საბჭოს მიერ გამოცხადებული საგრანტო პროგრამის – „შემოქმედებითი ნაპერწკალი: სამეწარმეო განათლება უმაღლესებისათვის“ ფარგლებში, რომლის დაფინანსებაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, University of Essex-ისა და Change School-ის კონსორციუმმა მოიპოვა.

ეს ერთ-ერთია იმ პროექტებს შორის, რომშიც ჩართულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 წლის შემოდგომაზე გახსნილი თსუ ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი.

ცენტრის მიზანია, რაც შეიძლება მეტი პირი დააინტერესოს ინოვაციური საქმიანობით მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგში და დაეხმაროს მათ თავიანთი საქმიანობის განხორციელებასა და განვითარებაში. ინოვაციური იდეების სტიმულირება და მეცნიერების პოპულარიზაცია, შესაძლებლობების ძიების მექანიზმებისა და მეთოდების შემუშავება თსუ-ში და იდეების განხორციელების მხარდამჭერი მექანიზმების განვითარება ცენტრის ამოცანებია.

როგორც ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის ხელმძღვანელი, ნიკა მელქაძე ამბობს, ცენტრი ტექნოლოგიებისა და გამოგონებების კომერციალიზაციას, და სოციალური პროექტების განხორციელებას უზრუნველყოფს.

„ყველა განვითარებულ უნივერსიტეტს, რომელსაც აქვს კვლევითი კომპონენტი, აქვს ასევე ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრიც. ზოგგან მას სხვა სახელი აქვს, მაგალითად, ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი, ან კომერციალიზაციის ოფისი და ა.შ. მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია ფუნქცია. მთავარი ფუნქცია კი არის ის, რომ უნივერსიტეტში ინოვაციური კვლევითი იდეები და გამოგონებები წახალისდეს და შემდგომ მოხდეს მათი გაყიდვა. კომერციალიზაცია შეუძლებელია, კერძო სექტორთან, სამთავრობო სტრუქტურებთან ან სხვა ერთეულებთან ურთიერთობის გარეშე. ამდენად, ცენტრს მჭიდრო კავშირი ექნება მათთან“, – ამბობს ნიკა მელქაძე.

სწორედ ამ მიზნით, ცენტრი ჩამოყალიბდა, როგორც ერთგვარი საინფორმაციო ჰაბი, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას ფაკულტეტებთან, ფაბლაბთან, კვლევით ინსტიტუტებთან, სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან და სხვა ერთეულებთან, რითიც გააუმჯობესებს კოორდინაციას კომერციალიზაციის პროცესში მესამე მხარესთან. მაგალითად, დაეხმარება მეცნიერებს გამოგონებების რეგისტრაცია-გაყიდვაში, ინოვაციური იდეების რეალიზებაში.

ამის ერთ-ერთი ინსტრუმენტი ასევე არის თსუ ფაბლაბი, რომელიც დღეს ცენტრის სტრუქტურაში არის გაერთიანებული.

ფაბლაბი (სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია და ბიზნეს-ინკუბატორი) თსუ-ში შეიქმნა 2015 წელს თბილისის მერიის მხარდაჭერით. მისი მიზანია სტუდენტების ინოვაციური იდეების გენერირება და გამოგონებების შექმნა. ფაბლაბი თსუ-ის სტუდენტებს საშუალებას აძლევს ჩამოაყალიბონ და რეალობად აქცეონ საკუთარი ბიზნეს იდეები, პირველი ნაბიჯები გადადგან საკუთარი Start-Up ბიზნესის დასაწყებად.

Fab Lab TSU განთავსებულია თსუ-ის მეათე (მაღლივ) კორპუსში 321-ე აუდიტორიაში.

Fab Lab TSU-ს ოფიციალური Facebook გვერდი.

Fab Lab TSU – სტუდენტებს სთავაზობს უნიკალურ სერვისს, რომელიც მოიცავს ბიზნეს ანალიტიკოსებთან კონსულტაციებს, შეხვედრების დაგეგმვას პოტენციურ ინვესტორებთან, მუშაობას გრაფიკოსებთან და სპეციალურ ტექნიკურ პერსონალთან.

Fab Lab TSU-ში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ წარმოადგინონ, ან ადგილზე შეიმუშავონ სასურველი პროდუქციის ნახაზები. შემდეგ კი უნიკალური, მაღალტექნოლოგიური და თანამედროვე აპარატურის გამოყენებით უსასყიდლოდ შექმნან პროდუქტის პროტოტიპები.

Fab Lab TSU-ში წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი დანადგარები:

3D პრინტერები: a. uPrint 3D b. Dual Extruder;

Epilog Fusion – ლაზერული დანადგარი;

UV Printer – ულტრაიისფერი სხივით ბეჭდვა/ ლამინირებისთვის;

CNC დანადგარი;

3D სკანერი.

აღსანიშნავია, რომ თსუ-ის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია და ბიზნეს ინკუბატორმა ფაბ-ლაბების მსოფლიო ასოციაციაში გასაწევრიანებლად ყველა კრიტერიუმი დააკმაყოფილა და ლაბორატორიების მსოფლიო რუკაზე გამოჩნდა, რაც ლაბორატორიას საშუალებას აძლევს აქტიური კომუნიკაცია დაამყაროს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მდებარე Fab Lab-ებთან, მიიღოს და გაავრცელოს ინოვაციების დარგში არსებული ცოდნა და გამოცდილება.

ამ და სხვა რესურსებით, მათ შორის ისეთი პროექტებით, რომელზეც წერილის დასაწყისში ვისაუბრეთ, ცენტრი გეგმავს მეცნიერება მაქსიმალურად დააახლოვოს პრაქტიკასთან და ბიზნესთან და შეკრას ცოდნის სამკუთხედი, რაც მენიერების კომერციალიზაციას შეუწყობს ხელს.

1-ლი გვერდიდან

ზამთრის საერთაშორისო ქართველოლოგიური სკოლა

28 თებერვალს ზამთრის საერთაშორისო ქართველოლოგიური სკოლა დასრულდა, რომელშიც მონაწილეობა 30-მა ქართველმა და უცხოელმა სტუდენტმა მიიღო.

მათ 8 დღის განმავლობაში ქართველოლოგიური მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულებით ლექციები და ვორქშოპები ჩაუტარდათ.

გამორჩეული ნაშრომების ავტორები „ქართველოლოგიის მხარდამჭერთა საერთაშორისო ასოციაციამ“ ცნობილი ქართველოლოგის ჰაინც ფენრიხის სახელობის ფულადი პრემიით დაჯილდოვა.

თსუ ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი პროექტ „ზამთრის საერთაშორისო ქართველოლოგიური სკოლა“ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ქართველოლოგიის მხარდამჭერთა საერთაშორისო ასოციაციის მხარდაჭერით ატარებს.

უნიკალური საბიბლიოთეკო ერთეულების რესტავრირებული ნიმუშების პრეზენტაცია

თსუ ბიბლიოთეკის მიერ რესტავრირებული უნიკალური ნიმუშები – რარიტეტული ნაბეჭდი წიგნები, ფერწერული ნიმუშები, ფოტომასალები – სულ 50 ექსპონატი გამოიფინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მათ შორის, საღმრთო და სამღვდელო სახარება (ვახტანგVI-ის სტამბა) 1709 წ; დავითნი (ვახტანგ VI-ის სტამბა - 1709 წ.); საღმრთო და სამღვდელო სახარება (1818წ.) და სხვა. თსუ ბიბლიოთეკის რესტავრაციის განყოფილების ანგარიშ-პრეზენტაციას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ზურაბ გაიპარაშვილი, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

თსუ რექტორის გიორგი შარვაშიძის ინფორმაციით, ბიბლიოთეკის რესტავრაციის განყოფილებამ ბოლო წლების განმავლობაში რესტავრაცია ჩაუტარდა 650 წიგნს, მათ შორის 95 – უნიკალური რარიტეტული გამოცემაა. „რესტავრაციის ლაბორატორია მუშაობს ძველი, რარიტეტული წიგნების აღდგენაზე. ყველაზე ძველი წიგნი, რომელსაც რესტავრაცია ჩაუტარდა არის ვახტანგისეული სახარება, ასევე უნიკალური 1709 წელს დაბეჭდილი დავითნი. ძალიან ინტენსიურად იმუშავა ლაბორატორიამ და კარგია, რომ ახალგაზრდები არიან ჩართულნი ამ საქმეში“, – განაცხადა თსუ რექტორმა.

საჯარო სკოლის მოსწავლეები თსუ-ში

6 მარტს უნივერსიტეტში საჯარო სკოლის მოსწავლეები გვეწვივნენ.

„ქართული პარლამენტარიზმის ისტორია“, „პირველი ქალი კანონმდებლები საქართველოში“, „ევროპელი ლიდერები და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“ – ეს საჯარო ლექციები სკოლის მოსწავლეებმა თსუ-ში მოისმინეს.

ღონისძიება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების 100 წლის იუბილეს მიეძღვნა.

წიგნის – „მათემატიკა, ინფორმატიკა და მათი გამოყენებები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ინჟინერიაში“ პრეზენტაცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წიგნის – „მათემატიკა, ინფორმატიკა და მათი გამოყენებები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ინჟინერიაში“ პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი მიმდინარე წელს გამოსცა გამომცემლობა Springer-მა სერიით Springer Proceedings in Mathematics and Statistics. ღონისძიებას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, პროფესორები, სტუდენტები დაესწრნენ.

„Springer“-ის მიერ გამოცემული წიგნი მნიშვნელოვანი მოცულობითი შრომაა, რომლითაც დაინტერესდნენ საერთაშორისო დონეზე. გამოცემაში ბევრი საინტერესო მასალაა და იმედია, ის წაადგება არა მხოლოდ სტუდენტებს, არამედ პროფესორ-მასწავლებლებსაც“, – განაცხადა თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

წიგნი გამოიცა თსუ ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლების გიორგი ჯაიანის (თსუ ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი) და დავით ნაგროშვილის (თსუ ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტი) რედაქტორობით. წიგნში შესულია 2017 წლის 6-9 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში ჩატარებული მესამე საერთაშორისო კონფერენციის „მათემატიკისა და ინფორმატიკის გამოყენებები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ინჟინერიაში“ წაკითხული მოხსენებების ნაწილი. კონფერენცია მიეძღვნა ქართველი მათემატიკოსის, 1986-2006 წლებში ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ დავით გორდეზიანის (1937-2015) დაბადებიდან 80 წლის იუბილეს.

დათო ევგენიძის საღამო თსუ-ში

თსუ პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში დათო ევგენიძის საღამო გაიმართა. საღამოზე დათო ევგენიძის ავტობიოგრაფიული ლექსების პერფორმანსი იყო ნაჩვენები. ღონისძიებაში საქართველოში ვიზიტით მყოფი ცნობილი მევიოლინე, საფრანგეთში მოღვაწე – კამილ ჩალაევი მონაწილეობდა. ღონისძიება თსუ სტუდენტური თვითმმართველობის და ქართული ღვინის ფონდის ორგანიზებით გაიმართა.

სწავლა ჩინეთში – საინტერესო თავგადასავალი და გამოწვევა

ლილია დავითაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ხელოვნებათმცოდნეობის (major) და შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის, სინოლოგიის (minor) მიმართულების კურსდამთავრებულია. ამჟამად ჭეჟიანგის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, კულტურული რელიქვიებისა და მუზეუმების მიმართულების მეორე კურსის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლობს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სტიპენდიის დაფინანსებით. თავისი ჩინური ცხოვრებისა და გამოწვევების შესახებ ლილია თავად გვიყვება.

– ჩინეთში სწავლების შესაძლებლობაზე ინფორმაცია საქართველოს განათლების სამინისტროს ინტერნეტგვერდზე იდება. კონკურსი წელიწადში ერთხელ ცხადდება და მასში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ყველა სტუდენტს, ვინც დაინტერესებულია ჩინური კულტურით და ჩინურის შესწავლა ჩინეთის უნივერსიტეტებში სურს. სტიპენდია სხვადასხვა სახისაა: არსებობს ერთწლიანი, ენის კურსის სტიპენდია. არსებობს ასევე სამაგისტრო სტიპენდია, რითაც ახლა ვიმყოფები აქ. ჩემი პროგრამა სამწლიანია.

მახსოვს, ქ-ნ ნანა გელაშვილის ლექციას ვესწრებოდი ჩინური კულტურის შესახებ და სწორედ მაშინ ახსენა ქ-ნ ნანამ ჩინეთში სასწავლებლად წასვლის მსურველთათვის არსებული კონკურსი. როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩინური ენის სწავლა დავიწყე, ვერც წარმოვიდგენდი, რომ არსებობს მსგავსი პროგრამები. კონკურსის არსებობა ძალიან გამიხარდა, მაგრამ თავიდან გამარჯვებაზე კი არა, მონაწილეობაზეც ვერ ვბედავდი ფიქრს. ჩინურის სწავლა იმიტომ დავიწყე, რომ გამეგო რამდენად რთული იყო იგი. უნივერსიტეტში ენის ერთი წლის განმავლობაში სწავლის შემდეგ, ლექტორების, მეგობრებისა და ოჯახის წევრების გამხნევების შედეგად, კონკურსში მონაწილეობა გადავწყვიტე. იგი შემდეგ ეტაპს მოიცავდა: 1) ჩინური ენის ტესტი; 2) ინგლისურ ენაზე შედენილი ტესტი ჩინეთის შესახებ; 3) გასაუბრება ჩინეთის საელჩოში ელჩთან და კონსულთან. 4) საბუთების შეგროვება და უნივერსიტეტში ჩარიცხვის თანხმობა ჩინეთის უნივერსიტეტისგან. დიდი სიხარული იყო იმის მოსმენა, რომ 2015-2016 წელს ჩინეთის ქალაქ ხანგჭოუში, ჭეჟიანგის უნივერსიტეტში გავიელიდი ჩინური ენის ერთთვიან კურსს. მაშინ თსუ-ს მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი. საქართველოში უკვე დიდი გეგმებით დავბრუნდი. დავამთავრე უნივერსიტეტი და, ისევ იმავე კონკურსში გამარჯვებით, მოვიპოვე სამაგისტრო სტიპენდია. ვფიქრობ, ამ წარმატებას ვერ მივაღწევდი, რომ არა ჩემი ლექტორები, თსუ შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის მიმართულების ხელმძღვანელი, ქ-ნ ნანა გელაშვილი და ნინო ბრეგვაძე, რომელმაც მასწავლა იეროგლიფების წერა და ყოველთვის გვამხნევებდა სტუდენტებს, „ჩინური ენის სწავლა არაა რთული და ეს შესაძლებელიაო“!

2015-2016 წლებში, როდესაც ჯერ კიდევ ჩინეთში, ენის კურსზე ვსწავლობდი, გადავწყვიტე ჩინური ენის დონის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გავლა. ვიცოდი, რომ ჩინეთში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად, უნივერისტეტის ერთ-ერთ მოთხოვნა სწორედ ჩინურ ენის სერტიფიკატი, HSK 5 (C1) იყო. გამოცდა წარმატებით ჩავაბარე. სამაგისტრო სტიპენდიის მოსაპოვებლად უფრო მეტი მოთხოვნის დაკმაყოფილებაა საჭირო. მათ შორის, კარგად უნდა გქონდეს გააზრებული, რას ნიშნავს ჩინეთში სწავლა და რამდენად ხარ ამისთვის მზად. ჩინეთი აზიური სამყაროს აკვანია, აქ განსხვავებული კულტურა, ტრადიციებია. საგანმანათლებო სისტემაც რადიკალურად განსხვავდება ქართულისგან. ამიტომ, მხოლოდ საბუთების შეგროვებაა არაა საკმარისი, მორალურადაც უნდა იყო მზად ახალი გამოწვევებისთვის და ახალი, ჩინური ცხოვრების დასაწყებად.

როდესაც 2015 წელს ენის კურსის პროგრამებით ვაპირებდი ჩინეთში ჩამოსვლას, სწორედ მაშინ აღმოვაჩინე პირველად ქალაქი ხანგჭოუ და ჭეჟიანგის უნივერსიტეტი. რადგან თავად შემეძლო არჩევა, გადავწყვიტე, ამერჩია უნივერსიტეტი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იქნებოდა ჩინეთის მასშტაბით (ჭეჟიანგის უნივერსიტეტი წლებია ჩინეთის საუკეთესო უნივერსიტეტებს შორის მეოთხე ადგილს არ თმობს) და ჩინეთის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. მოგეხსენებათ, ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილში ძალიან ცივი ზამთარია და ჰაერის დაბინძურებაც დიდ პრობლემას წარმოადგენს. ხანგჭოუ ჩინეთის სამხრეთ ნაწილში განთავსებული მარადმწვანე ქალაქია, რომელსაც ჩინელები „სამოთხეს დედამიწაზე“ უწოდებენ. ყოველწლიურად თსუ-დან რამდენიმე სტუდენტი მიემგზავრება ხოლმე ჩინეთში სასწავლებლად.

ერთადერთი უცხოელი ჯგუფში

ახალ გარემოსთან შეგუება არ გამჭირვებია. მიყვარს სიახლეები, ახალი გარემო, ახალი მეგობრები. თან უკვე ვიცნობდი ჩინურ კულტურასა და ყოველდღიურ ცხოვრების წესებს, მზად ვიყავი მისი ნაწილი გავმხდარიყავი. სწავლის თვალსაზრისით, თავიდან სირთულეებმა იჩინა თავი. პირველად ვიყავი ჩამოსული ასეთო ხანგრძლივი დროით სასწავლებლად და თან უკვე მაგისტრი, რომელსაც ყველა ლექციას ექნებოდა ჩინურ ენაზე. ჯგუფში უცხოელი მხოლოდ მე ვარ. ლექციები ძირითადად სამ საათზე მეტ ხანს გრძელდება, რაც ჩემთვის უჩვეულო იყო. თავიდან ჯგუფელებთან კონტაქტის დამყარებაც მიჭირდა. ნელ-ნელა ყველაფერს მივეჩვიე, ლექციები უფრო საინტერესო

გახდა ჩემთვის, ჯგუფელებთანაც საერთო ენა გამოვნახე. მაშინდელ პრობლემების გახსენებაზე ახლა საკუთარ თავზე მეცინება და, ვფიქრობ, ნერვიულობად არ ღირდა. ენობრივ ბარიერს რაც შეეხება, პირველად ჩინურის არც თუ ისე მაღალი ენის დონით ჩამოვედი ჩინეთში. ეს ხელს მიშლიდა დისკუსიებში მონაწილეობის მიღებაში, მაგრამ ელემენტარულ დონზე მაგალითად, პროდუქტების ყიდვისას, ენის ბარიერი დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა.

ჩინეთში მიღებული განათლება იქნება პირველი ნაბიჯი ჩემი მიზნის მისაღწევად, გავაცნო საქართველოს ჩინური კულტურა და ხელოვნება. მსურს ჩემი კარიერის დიდი ნაწილი ხელოვნებას დაეთმოს. ჩინეთში მიღებული ცოდნა ნამდვილად დიდ როლს ითამაშებს ჩემთვის როგორც სწავლის კუთხით, ასევე პიროვნული თვალსაზრისით. სტუდენტი, რომელიც საკუთარი სამშობლოდან შორს, შორეულ აღმოსავლეთში, სრულიად სხვა გარემოში სწავლობს და ცხოვრობს, აუცილებლად შეეძენს ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რაც აისახება მის პიროვნულ ჩამოყალიბებაზე. აქ სწავლის პერიოდში მრავალი პრობლემა შეგვეხება, რომელსაც მარტო უნდა გაუმკლავდე. თავიდან შეიძლება შიშმა და სტრესმა გძლიოს, თუმცა სწორედ ეს გრძნობები გაძლიერებს და შემდეგ სამშობლოში შეიძლება სრულიად სხვა, ძლიერი პიროვნება დაბრუნდე. ვფიქრობ, სწავლობდე ისეთ გარემოში, როგორიც აზიაა, ერთგვარი თავგადასავალი და გამოწვევაა საკუთარ თავთან.

ჩინური არც ისე „ჩინურად“ მოგეჩვენებათ თუკი...

თსუ-ში მიღებული ცოდნა ჩინელი სტუდენტებისა და ლექტორებისთვის ქართული ხელოვნების და კულტურის გაცნობაში მეხმარება. თსუ-ში დავაგროვე გამოცდილება, რაც საკუთარი აზრის წერილობით თუ სიტყვიერად თავისუფლად გამოთქმის საშუალებას მაძლევას. ვფიქრობ, თუ საფუძველი მყარია, შემდეგ ახლის სწავლა უკვე მარტივი და საინტერესოა.

სტუდენტებს ვურჩევდი, არ შეუშინდენ ცხოვრებისგან შემოთავაზებულ გამოწვევებს. მიიღონ კონკურსებში მონაწილეობა, გაეცნონ მსოფლიოს სხვადასხვა კულტურას. ეს პიროვნულადაც გაგზრდით და თქვენს ცხოვრებას უფრო ხალისიანს, საინტერესოს გახდის. ხოლო მათ, ვისაც ჩინური ენის სწავლა უნდა, მაგრამ მისი სწავლა შეუძლებლად მიაჩნია, გირჩევთ თავიდან ამოიგდოთ აზრი, რომ „ჩინური ზედმეტად ჩინურია“ თქვენთვის. მთავარია, ნებისყოფა და ძლიერი სურვილი. მართალია, სხვა ენებისგან განსხვავებით, ჩინურის სწავლა უფრო მეტ დროსა და მოთმინებას მოითხოვს, მაგრამ შეუძლებელი არაფერია! ვფიქრობ, ისწავლო უცხო ენა, არ ნიშნავს მხოლოდ ისაუბრო ამ ენაზე, ესაა შეიცნო ახალი კულტურა და ტრადიციები. ამიტომ მთავარია კულტურა შეიყვარო და შემდეგ ჩინური არც ისე „ჩინურად“ მოგეჩვენებათ.